ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
მოთხოვნის დათმობის (ცესიის) შესახებ

ქ. _____ _____.____.202___

შპს „_____“ (ს/ნ _____), შემდეგში წოდებული როგორც - **„მოთხოვნის დამთმობი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____-ის (პ/ნ _____) სახით, ერთის მხრივ და **შპს „_____“** (ს/ნ _____), შემდეგში წოდებული როგორც -**„მოთხოვნის მიმღების“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____-ის (პ/ნ _____) სახით, მეორეს მხრივ და **შპს „_____“** (ს/ნ _____), შემდეგში წოდებული როგორც -**„მოვალე“**, საწარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____-ის (პ/ნ _____) სახით, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ

- **„მომთხოვნის დამთმობს“** გააჩნია ფულადი მოთხოვნა (შემდეგში - **„მოთხოვნა“**) **„მოვალის“** მიმართ, რომელიც შეადგენს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტში შეადგენს - _____ ლარს,
- **„მოთხოვნა“** მთლიანად წარმოადგენს **„მოთხოვნის დამთმობის“** მიერ **„მოვალესათვის“** 202__ წელს მიწოდებული საქონლის ღირებულების გადაუხდელ ნაწილს,
- **„მოთხოვნის დამთმობს“** გააჩნია სურვილი, რომ მისი მოთხოვნა **„მოვალის“** მიმართ **საზღაურის სანაცვლოდ** დაუთმოს **„მოთხოვნის მიმღებს“**,

ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

_____ „მოთხოვნის დამთმობი“ _____ „მოთხოვნის მიმღები“

_____ „მოვალე“

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **„მოთხოვნის დამთმობი“** სრულად თმობს **„მოვალის“** მიმართ თავის **„მოთხოვნას“** (_____ ლარი) **„მოთხოვნის მიმღების“** სასარგებლოდ;

1.2. **„მოვალე“** აცხადებს თანხმობას **„მოთხოვნის დამთმობმა“** **„მოთხოვნის მიმღებს“** დაუთმოს ფულადი **„მოთხოვნა“**, რომელიც **„მოთხოვნის დამთმობს“** გააჩნია მის (**„მოვალის“**) მიმართ;

1.3. **„მოთხოვნის“** დათმობით **„მოთხოვნის მიმღებს“** უჩნდება ფულადი მოთხოვნა **„მოვალის“** მიმართ - _____ (_____) ლარის ოდენობით;

1.4. **„მოთხოვნის“** დათმობის შემდეგ **„მოთხოვნის დამთმობის“** მოთხოვნა **„მოთხოვნის მიმღების“** მიმართ შეადგენს - 0 (ნულ) ლარს.

2. დათმობილი „მოთხოვნის“ ღირებულება

2.1. **„მოთხოვნის დამთმობის“** მიერ **„მოთხოვნის მიმღებისათვის“** დათმობილი **„მოთხოვნის“** ღირებულება შეადგენს - _____ (_____) ლარს;

2.2. **„მოთხოვნის მიმღები“** ვალდებულია **„მოთხოვნის დამთმობს“** გადაუხადოს 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ღირებულება (**„მოთხოვნის“** ღირებულება) არაუგვიანეს **„ხელშეკრულების“** გაფორმებიდან _____ დღის განმავლობაში.

3. „მხარეთა“ ახსნა-განმარტებები

3.1. **„მხარეები“** თანხმდებიან, რომ

3.1.1. **„მოთხოვნა“** მისი დათმობის მომენტამდე ეკუთვნოდა **„მოთხოვნის მიმღებს“**;

3.1.2. **„მოთხოვნის“** დათმობით **„მოთხოვნის დამთმობი“** კარგავს დათმობილ **„მოთხოვნაზე“** საკუთრების და ყველა სხვა უფლებას, რომელიც მთლიანად გადადის **„მოთხოვნის მიმღებზე“**.

_____ „მოთხოვნის დამთმობი“ _____ „მოთხოვნის მიმღები“

_____ „მოვალე“

„მოთხოვნის დამთმობი“: **შპს „_____“** (ს/ნ _____)

_____ /_____ _____ (პ/ნ _____), დირექტორი/

„მოთხოვნის მიმღები“: **შპს „_____“** (ს/ნ _____)

_____ /_____ _____ (პ/ნ _____), დირექტორი/

„მოვალე“: **შპს „_____“** (ს/ნ _____)

_____ /_____ _____ (პ/ნ _____), დირექტორი/

_____ „მოთხოვნის დამთმობი“ _____ „მოთხოვნის მიმღები“

_____ „მოვალე“